აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №4

28/12/2023 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია, **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №7 განკარგულებით დამტკიცებულ №1, №2 და №3 დანართებში შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ა) №1 დანართის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის დებულება) დებულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის უფროსის, განყოფილების უფროსის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტებისა და ასევე საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისგან.“.

ბ) №2 დანართის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება) დებულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის უფროსის, განყოფილების უფროსის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტებისა და ასევე ასევე საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისგან.“.

გ) №3 დანართის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან

ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება) დებულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის უფროსის, განყოფილებების უფროსების და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტებისა და ასევე საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისგან.“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2024 წლის 15 თებერვლიდან.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე
კომისიის მდივანი